# თბილისის საქალაქო სასამართლო

№3-0421/2870206-5153 01.03.2019 წელი

ბატონ დავით ქუტიძეს
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს

თბილისი, კოსტავას ქ.N75 გ, ბ.N40

GRASS
REFORMANDIA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
შემოსული კორესპონდენციის № 22
7 03 2019

ბატონო დავით,

2019 წლის 27 თებერვლის მომართვის (რეგ.N51) პასუხად, რომლითაც ითხოვდით 2003-2018 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილული საქმეების შესახებ ინფორმაციას, მოგახსენებთ, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა/დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება. აღნიშნული ინფორმაციის მოცულობის გამო, მათი მოძიება და სათანადო დამუშავება საჭიროებს დიდ დროსა და სასამართლოს რესურს, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამასთან გაცნობებთ, რომ სასამართლოში მონაცემების აღრიცხვა და დამუშავება ხორციელდება სასამართლოს საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებული ფორმის მეშვეობით. სასამართლოში დამუშავებული ინფორმაცია, როგორც საჯარო ინფორმაცია განთავსებულია სასამართლოს ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

რაც შეეხება თქვენს მიწიშნებას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშთან დაკავშირებით, მოგახსენეთ, რომ ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ, გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

პატივისცემით,
ავთანდილ წამალაშვილი

უფროსი კონსულტანტი
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, XII კილომეტრი; ტელეფონი/ფაქსი: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
Georgia, Tbilisi 0131, David Aghmashenebeli Ave. XII km. Tel/Fax: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
www.tcc.gov.ge